ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 422

"22" დეკემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ: №01.10.15.010.040) 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფისტასთვის" (ს/კ: 404492330) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (საკადასტრო კოდი: №01.10.15.010.040) 53 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფისტასთვის" (ს/ნ 404492330) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 დეკემბრის №20.1467.1801 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ: №01.10.15.010.040) 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „კოფისტასთვის" (ს/კ: 404492330) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7700 (შვიდი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**